სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

94691297266413

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა)

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N131201447

რეგისტრაციის თარიღი

14.11.2013 წ

ნოტარიუსი: მაია ბიგვავა
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი #26
ტელეფონი: 2999620, 2932317

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ცამეტი წლის თოთხმეტ ნოემბერს მე, ნოტარიუს მაია ბიგვავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №26, მომმართეს **შპს „სანი“-მ წარმოდგენილმა დირექტორის (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „სანი“-ს შესახებ, ს/კ 406033983, ელექტრონული ვერსია) რამინ სამხარაძის** (დაბადებული 03.06.1976წ. ჭიათურაში, პირადი ნომერი №54001001896, პირადობის მოწმობა №გ 0996825 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ჭიათურის სამსახურის მიერ 30.10.2006წ. მისამართი: ჭიათურა. გრ, აბაშიძის ქ. №18) **სახით, უტა მაზიაშვილმა** (დაბადებული 17.03.1977წ. თბილისში, პირადი ნომერი №01026001199, პირადობის მოწმობა №11ID65092 გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 31.05.2012წ. მისამართი: თბილისი, ი. მოსაშვილის ქ. №18) და **მალხაზ ბიწაძემ** (დაბადებული 07.01.1963წ. რუსთავში, პირადი ნომერი №01006003422, პირადობის მოწმობა №ა 1184828 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ 25.07.2008წ. მისამართი: თბილისი, ად. მიცკევიჩის ქ. №25, ბ. 33).

რამინ სამხარაძემ განაცხადა, რომ **შპს „სანი“-ს** სახელით სურს, **უტა მაზიაშვილის და მალხაზ ბიწაძის** სახელზე **გენერალური სავაჭრო მინდობილობის (პროკურის)** გაცემის შესახებ სანოტარო აქტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე ზემოთ მითითებულ პირთა პირადობა, მათ მიერ წარმოდგენილი, ზემოთ მითითებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **რამინ სამხარაძემ, უტა მაზიაშვილმა** და **მალხაზ ბიწაძემ** მომმართეს. ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. მე შევამოწმე **რამინ სამხარაძის, უტა მაზიაშვილის** და **მალხაზ ბიწაძის** ნების გამოვლენის ნამდვილობა, რის შემდეგაც შევადგინე **გენერალური სავაჭრო მინდობილობის (პროკურის)** ტექსტი, რომელიც **რამინ სამხარაძემ, უტა მაზიაშვილმა** და **მალხაზ ბიწაძემ** პირადად წაიკითხეს და განაცხადეს, რომ იგი სრულად შეესაბამება მათ ნებას. **მხარეებს ჩემს, ნოტარიუსის მიერ, განემარტათ წინამდებარე სანოტარო აქტზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები და ის, რომ პროკურა ძალაში შედის მისი სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. რამინ სამხარაძემ, უტა მაზიაშვილმა** და **მალხაზ ბიწაძემ** ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერეს ხელი შემდეგ გენერალურ სავაჭრო მინდობილობას (პროკურას)

გენერალური სავაჭრო მინდობილობა
(პროკურა)

ორიათას ცამეტი წლის თოთხმეტ ნოემბერს **შპს „სანი“-მ წარმოდგენილმა დირექტორის (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „სანი“-ს შესახებ, ს/კ 406033983, ელექტრონული ვერსია) რამინ სამხარაძის** (დაბადებული 03.06.1976წ. ჭიათურაში, პირადი ნომერი №54001001896, პირადობის მოწმობა №გ 0996825 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ჭიათურის სამსახურის მიერ 30.10.2006წ. მისამართი: ჭიათურა. გრ, აბაშიძის ქ. №18) **სახით, უტა მაზიაშვილს** (დაბადებული 17.03.1977წ. თბილისში, პირადი ნომერი №01026001199, პირადობის მოწმობა №11ID65092 გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 31.05.2012წ. მისამართი: თბილისი, ი. მოსაშვილის ქ. №18) და **მალხაზ ბიწაძეს** (დაბადებული 07.01.1963წ. რუსთავში, პირადი ნომერი №01006003422, პირადობის მოწმობა №ა 1184828 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ 25.07.2008წ. მისამართი: თბილისი, ად. მიცკევიჩის ქ. №25, ბ. 33), შემდგომში “პროკურისტები”, წინამდებარე გენერალური სავაჭრო მინდობილობით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

საქართველოში ან/და ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში იყვნენ **შპს „სანი“-ს** სრულუფლებიანი წარმომადგენლები ყველა მესამე პირთან, მათ შორის ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოსთან, ფინანსთა სამინისტროსთან, შემოსავლების

სამსახურებთან, საგადასახადო და საბაჟო სამსახურებთან, გაფორმების ეკონომიკურ ზონასთან, თბილისის იუსტიციის სახლთან, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, იუსტიციის სამინისტროს საჯარო და სამეწარმეო რეესტრების ტერიტორიულ სამსახურებთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთან, საპატრულო პოლიციასთან, ასევე საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში. მიმართონ მათ საჭირო განცხადებებით, განაცხადებით თუ სხვა სახის მოთხოვნებით, მიიღონ მათგან შესაბამისი პასუხები. წარადგინონ, მიიღონ და ხელი მოაწერონ **შპს „სანი“-ს** სახელზე გაცემულ ნებისმიერ დოკუმენტს, გაასაჩივრონ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება.
წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში პროკურისტებს უფლება აქვს:

მართონ და განკარგონ **შპს „სანი“-ს** მთელი ქონება, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს და რისგანაც არ უნდა შედგებოდეს იგი; ამის შესაბამისად დადონ კანონით ნებადართული ყოველგვარი გარიგება (ასევე შეთანხმებები გარიგებებში ცვლილებების შეტანის ან გაუქმების შესახებ) ქონების მართვასთან და განკარგვასთან დაკავშირებით, კერძოდ; შეისყიდონ, გაასხვისონ, გააქირავონ/გასცენ იჯარით, გაცვალონ, გამიჯნონ, გააჩუქონ, მიიღონ საჩუქრად, დააგირავონ და მიიღონ გირაოდ, დატვირთონ იპოთეკით ნებისმიერი ვალდებულების უზრუნველსაყოფად საზოგადოების სახელზე რიცხული ნებისმიერი ქონება, ან დადონ ქონების მართვასთან და განკარგვასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სახის გარიგება. ყველა ჩამოთვლილ თუ სხვა შემთხვევაში გარიგების პირობები განსაზღვრონ თავის შეხედულებისამებრ. აწარმოონ ყველა გარიგების გაანგარიშება, მიიღონ თანხა, როგორც ქონების განკარგვის შედეგად მიღებული საზღაური. საჭიროების შემთხვევაში საზოგადოების სახელით კანონით დადგენილი წესით მოახდინონ ნებისმიერი ქონების ლეგალიზაცია და შესაბამის მარეგისტრირებელ სამსახურებში საზოგადოების სახელზე მათი აღრიცხვა-რეგისტრაცია.

შპს „სანი“-ს სახელით საქართველოში ან/და ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში ნებისმიერ ბანკში გახსნან, მართონ და განკარგონ **შპს „სანი“-ს კუთვნილი** ნებისმიერი საბანკო (მათ შორის შემნახველი, საკრედიტო, დეპოზიტური, ანგარიშსწორების თუ სხვა) ანგარიში, მიიღონ ანგარიშსწორების ბარათი, PIN კოდი, მოახდინონ ინტერნეტ ბანკინგის რეგისტრაცია, მიიღონ ინტერნეტ ბანკინგის კოდი, მიიღონ დიჯიპასი, ისარგებლონ ინტერნეტ ბანკინგის მომსახურეობით. საზოგადოების ანგარიშებზე აწარმოონ ნებისმიერი საბანკო ოპერაცია, მათ შორის, მოხსნან, ჩარიცხონ და გადარიცხონ ანგარიშებიდან თანხები, მოახდინონ ვალუტის კონვერტაცია, მიიღონ ინფორმაცია საზოგადოების ნებისმიერი ტიპის საბანკო დავალიანების შესახებ, მიიღონ ნებისმიერი სახის ამონაწერი, საბანკო ჩეკი, ცნობები.

იყვნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წარმომადგენლები ნებისმიერ ბანკში **(საქართველოში თუ ნებისმიერ სხვა სახელწიფოში),** საზოგადოების სახელით აიღონ სესხი, განსაზღვრონ სესხის თანხა, ვადა, პროცენტი და სხვა პირობები, გახსნან და აიღონ ოვერდრაფტები და ისარგებლონ ყველა სახის საკრედიტო რესურსით, გააფორმონ ხელშეკრულებები (გენერალური, რევოლვერული, საკრედიტო და სხვა), ხელი მოაწერონ საბანკო მომსახურებისა და მის შემადგენელ იპოთეკური კრედიტის ხელშეკრულებას, ასევე საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებას, საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას, საბანკო კრედიტის, იპოთეკის, გირავნობის, მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებებს და მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ შეთანხმებებს, რესტრუქტურიზაციას, დაზღვევის ხელშეკრულებას, ნებისმიერ განაცხადს, სასესხო გრაფიკს, მოახდინონ გაცემული სესხის წინსწრებით, ნაწილობრივ ან მთლიანად დაფარვა, სესხზე დარიცხული სარგებლის გადახდა,

ასესხო ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილების შეტანა თავისი შეხედულებისამებრ და შესაბამის ცვლილებების ხელშეკრულებაზე ან შეთანხმებაზე ხელის მოწერა, ყველა ჩამოთვლილ თუ სხვა შემთხვევაში ხელშეკრულების პირობები განსაზღვრონ თავისი შეხედულებისამებრ.

ნებისმიერ საბაჟო ტერმინალზე მიიღონ **შპს „სანი“-ს** სახელზე გამოგზავნილი ნებისმიერი სახის ტვირთი, მოახდინონ ტვირთის ტრანსპორტირება, აწარმოონ საბაჟო, საბროკერო და სატერმინალო ოპერაციები, მოახდინონ ტვირთის განბაჟება, გადაიხადონ ნებისმიერი სახის გადასახადი.

იყვნენ საზოგადოების წარმომადგენლები ნებისმიერ სადაზღვევო კომპანიასთან, ხელი მოაწერონ სადაზღვევო ხელშეკრულებას, პოლისს თუ განაცხადს, ხელშეკრულების ყველა პირობა განსაზღვრონ თავის შეხედულებისამებრ.

ნებისმიერი მესამე პირისგან ყველა საფუძვლით მიიღონ საზოგადოებისადმი კუთვნილი ქონება, საფოსტო გზავნილი თუ ამანათი, ყოველგვარი კორესპონდენცია, ასევე ფული და ფასიანი ქაღალდები.

შპს „სანი“-ს სახელით მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს ან კერძო სამართლის სუბიექტის მიერ გამოცხადებულ ნებისმიერ აუქციონში და ტენდერში, წარადგინონ და ხელი მოაწერონ საუქციონო და სატენდერო განაცხადს თუ სხვა საჭირო დოკუმენტაციას, განსაზღვრონ აუქციონზე და ტენდერზე შეძენილი ნივთის ნასყიდობის ფასი, თუ სხვა სახელშეკრულებო პირობები, გადაიხადონ აუქციონში და ტენდერში მონაწილეობისათვის აუცილებელი ყველა სახის გადასახადი.

შპს „სანი“-ს სახელით ხელი მოაწერონ ნებისმიერ გარიგებას, ასევე შეთანხმებებს გარიგებებში ცვლილებების შეტანის თუ გაუქმების შესახებ. იყვნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წარმომადგენლები სანოტარო ბიუროებში, ნოტარიუსთა პალატაში.

დაიცვან **შპს „სანი“-ს** ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები. ამ მიზნით პროკურისტები პირები საზოგადოებას წარმოადგენენ **საქართველოს ან/და ნებისმიერი სახელმწიფოს** საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებში, ნებისმიერ არბიტრაჟში, საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან და ფიზიკურ პირებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან **ურთიერთობაში** და აწარმოებენ შესაბამის სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეს. აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად პროკურისტები უფლებამოსილნი არიან საზოაგდოების სახელით შეასრულონ ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია **საქართველოს** კანონმდებლობით მათ შორის: მიმნდობის სახელით შეიტანონ განცხადება და/ან სარჩელი სასამართლოში და/ან არბიტრაჟში, გადაიხადონ სახელმწიფო ბაჟი ან დაიბრუნონ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილება, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, აღძრან სასამართლოს და/ან არბიტრაჟის წინაშე შუამდგომლობანი, მისცენ სასამართლოსა და/ან არბიტრაჟს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინონ თავისი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვან სარჩელზე, დაამთავროს საქმე მორიგებით და ხელი მოაწერონ სამომრიგებლო შეთანხმებას, შეცვალონ სარჩელის საგანი და ან საფუძველი, გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, გაასაჩივრონ სასამართლოსა და/ან არბიტრაჟის ნებისმიერი აქტი, წარადგინონ სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, მიიღოს სააღსრულებო ფურცელი, წარადგინოს

სააღსრულებო ფურცელი აღსრულების ეროვნულ ბიუროში ან/და კერძო აღმასრულებელთან და აწარმოონ სააღრსულებო საქმე.

პროკურა გაცემულია სამი წლის ვადით და ძალაშია 2016 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით. წინამდებარე პროკურა შედგენილია ხუთი თანაბარი იურიდიული მნიშვნელობის ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მ. ბიგვავას არქივში, დანარჩენი გადაეცათ მხარეებს.
წინამდებარე პროკურის სანოტარო ეგზემპლარს თან ერთვის:
1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „სანი“-ს შესახებ, ს/კ 406033983, ელექტრონული ვერსია.
2. შპს „სანი“-ს პარტნიორთა კრების ოქმი დამოწმებული 14.11.2013წ. (ინახება სანოტარო ბიუროს არქივში).
3. შპს „სანი“-ს წესდება (ასლი).

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებულია საზღაური 13,8 ლარი. მათ შორის 10 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლის საფუძველზე, სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ხოლო 1,8 ლარი–დღგ, თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169–ე მუხლისა.

ხელმოწერები 1. [illegible]

2. [illegible]

3. [illegible]

ნოტარიუსი /მაია ბიგვავა/